№ 19
ოთხშაბათი, 26 იანვარი, 1900 წ.

გაზეთი ღირს:

თვე	მან. კ.	თვე	მან. კ.
12	10 —	6	6 —
11	9 50	5	5 50
10	8 75	4	4 75
9	8 —	3	3 50
8	7 25	2	2 75
7	6 50	1	1 50

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

1877—1900

ივერია

№ 19
ოთხშაბათი, 26 იანვარი, 1900 წ.

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ
გამავრც. საზოგადოების კანცელარიას
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ
16 კაპ, მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

ქართული თეატრი

ხუთშაბათს, 27 იანვარს, 1900 წ.

ბენეფისი გ. გედევანოვისა.

ქართულის დრამატიულის საზოგადოების არტისტებისაგან წარმოდგენილი იქნება არტისტ ვ. ალექსი-მესხიშვილის მონაწილეობით პირველად განახლების შემდეგ

ურიელ-აკოსტა

ტრაგ. 5 მოქ., გუცკოვისა, თარგ. ი. ბაქრაძის მიერ.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი კარგარეთელი, ნაბიერიძისა, ბ-ნნი ვლ. ალექსი-მესხიშვილი, კ. ყიფიანი, სიმონიძე, გედევანოვი, შათირიშვილი და სხვ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია. დასაწყისი 8 საათზე.

რეჟისორნი **ვ. აბაშიძე** და **კ. მესხი.**

ვისაც სურს კარგის ჯიშის

აბრეშუმის ჭიის თესლი

თეთრი და ყვითელი, ალოიზისა, ფერრანისა და ალოიზისა და ბერტეს ფირმებისა, ტფილისის საბრეშუმო სადგურის მიერ განხილული, შეუძლიან სასყიდლად მიჰმართონ დ. ხონში ბ-ნ ივანე სიმონის ძე შარაშიძეს.

ი. ალოიზი (5—250—4)

გამგეობა გურიის სავაჭრო სამრეწველო ამხანაგობის „შუამავლისა“ ამით აცხადებს, რომ ექვს თებერვალს 1900 წლისა დილის ათ საათზედ ქ. ოზურგეთში

დანიშნულია გურიის სავაჭრო-სამრეწველო ამხანაგობის „შუამავალის“ წარმომადგენელთა

წლიური კრება

განსახილველია შემდეგი საგნები:

ა., 1899 წლის ანგარიშის განხილვა და დამტკიცება.

ბ., დივიდენდის განაწილება.

გ., მიღება ახალ წევრთა.

დ., შემოღება ახალწევრებზედ გარდა წილისა—შემოსასვლელი ფულისა.

ე., გამორიცხვა იმ წევრთა, რომელთაც სესხი და ნისია არ შემოუტანიათ.

(3—248—1) მმართველი ს. ჭეიშვილი

ქ. ქუთაისში
კბილის ექიმი
სალომე ი. კერესელიძე

მიიღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9 საათიდგან სალამოს 6-მდე. მიხეილის ქუჩა, შნეიდერის სახლები. (30—147—28)

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

უ. მ. ჩიქოვანი. 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასიანცი—დილის 11—12 ს. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

ი. ფ. პროტასევიჩი. 12—1 ს. ყურისა, ყელისა, ცხვირისა და გულის ავადმყოფობისა.

ა. პ. ქარაპეტიანცი 1—1½ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

ა. ზ. გურკო. 1½—2 ს. შინაგანი და საშარდეს ავადმყოფობის.

საღამოობით:

ი. ფ. პროტასევიჩი. 5—6 საათ.

ა. ნ. შპაკოვსკი. 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა) ვენერიულისა და კანის ავადმყოფობისა.

ბ. ა. ნავასარდიანი. 7—7½ საათ.

ტ. ი. რუდენკო—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად, მიკროსკოპიულად და ბაქტერიოლოგიურად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

ო. ტ. არვანიტაკი—გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმების დანიშვნით. მიმართონ 11—1 საათამდე.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана.*
Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.
(—1—წ).

ექიმი
კ. ი. გძელიშვილი

მიიღებს
ყელისა, ცხვირისა და ყურით ავადმყოფებს.

დილ. 9—11 ს., სალამოზე 5—7 ს.

მიხეილის ქუჩა, ნემეცების ეკკლესიის პირდაპირ. Михайловская, противъ кирки.
(100—31—83)

ტფილისის კერძო სამკურნალო

მკურნალის
მიხეილ გედევანიშვილისა
ავადმყოფებს იღებენ ყოველდღე კვირა დღეების გარდა

დილით:

ვ. ი. ჟიჟინაძე.—კბილის სნეულებანი. 8—10 საათ.

ზ. ზ. მაღალაშვილი—შინაგანი—9—10 საათ.

ნ. ტ. მულინი—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—10½—12 საათ.

ე. პ. გაუდელინი. 11—12 ს. ყოველ დღე, გარდა შაბათისა შინაგანი და ბავშვების ავად.

ა. ნ. შატილოვი—თვალისა 12—1 საათ.

ნ. ზ. უშიკოვი.—ბავშვებისა (ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით)—12—1 საათ.

მ. ლ. მარკევიჩი—12—1 სადოსტაქრო. სამშაბ. 3—4.

ი. დ. ბეგთაბეგოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—1½—2 საათ.

მ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრობით—1—2 საათ.

სალამოთი:

დ. ა. გედევანიშვილი—შინაგანი და ბავშვებისა—5—6 საათ.

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები და კაბინეტი ბაქტერიოლოგიურ და მიკროსკოპიულ გამოკვლევათათვის.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ., დანარჩენი—მორიგებით.

კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგანიშვილისა, № 21 (ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

დირექტორი სამკურნალოსი **მ. ა. გედევანიშვილი**

მთავრობის განკარგულებანი

გამწესებულ იქმნა კოლეჟსკი სეკრეტარი გოგიტიძე—ბათუმის საოლქო სამმართველოს თარჯიმნად.

გადაყვანილ იქმნენ ქალაქ ტფილისის პირველ ნაწილის ბოქაულის თანაშემწე თავადი რატიშვილი—მე-7 ნაწილში, ხოლო მეორე ნაწილის ბოქაულის თანაშემწე თავ. ნაკაშიძე—პირველ ნაწილში.

◆ ◆

ახალი ამბავი

⁂ დღეს, ოთხშაბათს, სალამოს რვა საათზედ, გუბერნატორის სადგომში დანიშნულია მიწის ძვრისაგან დაზარალებულთა დასახმარებლად დაარსებულის ტფილისის უმთავრესის კომიტეტის კრება. ეს ამბავი ეუწყებათ კომიტეტის წევრებს, რადგან განსაკუთრებული უწყებები აღარ გაეგზავნებათ.

⁂ კავკასიის სამეურნეო საზოგადოების მიერ არჩეულ კომისიას, რომელსაც მინდობილი ჰქონდა კავკასიის მომავალ სასოფლო-სამეურნეო გამოფენის პროგრამის შემუშავება, უკვე შეუდგენია ასეთი პროგრამა.

⁂ სამკურნალო დეპარტამენტმა დაავალა გუბერნიის სამკურნალო გამგეობათ წარუდგინონ ცნობები ყვავილით ავადმყოფთა რაოდენობისა და აგრეთვე იმის შესახებ, თუ რა ზომები იქმნა მიღებული იმ მცხოვრებთათვის ყვავილის ასაცრელად,

---

ფელეტონი

უკანასკნელი ყაჩაღი

მოთხრობა ე. არენისა
(დასასრული *)

VI

მეორე დღეს სალამოზედ აღტაცებულის დახვედრის შემდეგ, რომელიც ხვდა წილად ნეგრონს, როდესაც ის გამოვიდა საპყრობილედგან, სადაც დაამწყვდია ყაჩაღი, უნდა გენახათ რა ამპარტავნულად მოაბიჯებდა მოხუცი შინისკენ ხალხით სავსე ქუჩებზედ. ბედნიერი იყო ამ ჟამად, მისი სურვილი აღსრულებული იყო. დაიმსახურა უფროსის ყურადღება და სრული იმედი ჰქონდა, რომ ახლა-კი ხარისხს მისცემდნენ და ჯვარსაც მიიღებდა...

ქუჩის ბოლოში მეზობელი ქალები უცდიდნენ, რომ გაეგებინებინათ მისთვის მომხდარი „უბედური შემთხვევა“; ერთს იმათს დანახვაზედ მისს სიხარულით სავსე, ბრწყინვალე სახეს ნისლი გადაეკრა, გულმა უგრძნო, რომ რაღაცა უბედურება მომხდარიყო.

— მადლენა როგორ არის?—იკითხა.

ვერც ერთმა ხმა ვერ ამოიღო, არ იცოდნენ, როგორ დაეწყოთ.

— ჰა! შეჰკივლა მოხუცმა: არ მეტყვით რა ამბავია?..

აქ კი ყველანი ერთად მიეხვივნენ და უამბობდნენ, წამ და უწუმ ერთსა და იმავეს იმეორებდნენ: „იმას უნდოდა დაენახა... ის მეტის მეტად გადმოეკიდა ფანჯარაზედ“...

მაგრამ მოხუცი ყურს აღარ უგდებდა; მხოლოდ ის გამოარკვია, რომ მადლენა არ მომკვდარიყო, რომ ის მოელოდდა და წამს უკან, როდესაც მორეულმა სისუსტემ გაუარა, გაშმაგებით გაჰქანდა წინ. მხოლოდ მაშინ გაჩერდა, როდესაც ოთახის კარებს მიაღწია, გული საშინელის ძალით უცემდა. მღელვარებას იქამდის დაემორჩილებინა საბრალო მოხუცი, რომ სულის მობრუნებასაც-კი ვერ ახერხებდა. იქამდის საზარელი იყო ის სანახაობა, რომელიც მოელოდდა, რომ ერთი ხნობით კარებ წინ გაჩერებული ვერც-კი ბედავდა მის გაღებას.

უცებ მოესმა ოთახიდგან მწარე კვნესა, რომლის გაგონებამ ერთს წუთს თითქოს გულის ცემა შეუყენა; მეტი ვეღარ შესძლო, ჰკრა კარებს ფეხი და აღშფოთებული შევარდა ოთახში. ხელებ წინ გაწვდენილი ქვითქვითით გაჰქანდა ქალისაკენ.

— მადლენა!.. ჩემო შვილო!..

ლოგინთან შეჩერდა; საფეთქლები საშინელის ძალით უცემდა, თვალთ ბრუ ეხვეოდა... დავიჯერო ეს მისი მადლენაა, ასე გაფითრებული, ზეწარზედაც კი თეთრი? გონება-დაბნეული შეჰყურებდა წითელ ზოლად ჩამონადენ სისხლს და შუბლზედ მიკრულს თმას; მისი ამღვრეული თვალები აღარას ჰხედავდა: პატარა საწოლზედ მიწოლილი ყმაწვილი ქალი, ნათესავებით, მეგობრებით გარშემოხვეული, უფრო მიცვალებულს მოგაგონებდათ. ახლად მოსულები ფრთხილად, ფეხ აკრეფით შემოდიოდნენ ოთახში, როგორც მიცვალებულთან, გრძნობით, მაგრადართმევდნენ ხელს მოხუცს ნეგრონს და შემდეგ წყნარადვე კედელ-კედელ რიგდებოდნენ.

როდესაც მადლენა მოვიდა გონს, იცნო მამა, გაიშვირა იმისკენ ხელი და ნიავსავით წყნარის ხმით წარმოსთქვა:

— ორნივ მარტონი დაგვტოვეთ!

როცა ყველანი მოშორდნენ და ისინი მარტონი დარჩნენ პატარა ოთახში, მადლენამ მამას ანიშნა მისკენ დახრილიყო და შემდეგ ყურში სუსტის ხმით ჩასჩურჩულა:

— ის იყო!..

ახლაც კი, სიკვდილის პირს მყოფს მადლენას ამ გამოტეხამ ალმური აჰკრა სახეზედ.

— რა სთქვი?—ჩურჩულითვე ჰკითხა ნეგრონიმ, რა სთქვი?

— ჰო, ჰო... ყაჩაღი... მიყვარდა... ერთად უნდა გავქცეულიყავით... ყველაფერი მზად იყო... გუშინ სალამოს ვნახეთ ერთმანეთი... ვთხოვე თავს გაჰფთხილებოდა... სჩანს ვერ მოახერხა!.. მთელი ღამე მოველოდდი, ვიტანჯებოდი, ვტიროდი!.. იმედი მქონდა... მერე თქვენც მოხვედით... ვნახე ჟანდარმებით გარშემორტყმული, ხელებ უკან გაკრული, ხალხისაგან სასაცილოდ აგდებული... მივხვდი, რომ ყოველივე გათავებული იყო და სიკვდილი ვარჩიე, ფანჯრიდგან გადმოვარდი... ჰლაპარაკობდა ქალი და თან საშინლად იტანჯებოდა.

— კარგი, გაჩუმდი,—ეუბნებოდა მოხუცი მამა:—დამშვიდდი!.. გიწამლებთ, მალე მორჩები...

ქალი მიხვდა, რომ მამა ყურს არ

---

*) იხ. „ივერია“ № 18.

რომელნიც არა ჰგრძნობენ აცრის სარგებლობას და ერიდებიან ამას.

⁂ სახელმწიფო ბანკის ტფილისის განყოფილებას შუამდგომლობა აღუძრავს სათანადო მთავრობის წინაშე იმის შესახებ, რომ გამრავლებულ იქმნას ამ განყოფილების შემნახველ კასის მოხელეთა რიცხვი, რადგანაც შემნახველ კასის საქმის წარმოება ისე გართულებულია, რომ მოხელენი მუშაობას ველარ ასწრობენ.

⁂ წასულს 1899 წ. ბაქოს გუბერნიაში ამოუღიათ 524,200,000 ფუთი ნავთი, ე. ი, 38,200,000 ფუთით მეტი წინანდელს წელზე.

⁂ 23 იანვარს ტფილისის რეალურ სასწავლებელში წლიური აქტი იქმნა გამართული. ამ დღისათვის სასწავლებლის სადგომი მშვენივრად იყო მორთული ყვავილებითა და ბაირაღებით. აქტს დაესწრენ ყოვლად სამღვდელო კირიონი, ეპისკოპოსი ალავერდისა, კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველი კ. პ. იანოვსკი, ქალაქის მოურავი, მოსწავლეთა მშობლები და ნათესავნი და სხვ. აქტის შემდეგ საჩუქრები დაურიგეს მოსწავლეებს. ქართველთაგან მხოლოდ ერთმა მიიღო საჩუქარი, სახელდობრ პირველ კლასის მოსწავლემ ელიაზარ იმერლიშვილმა.

⁂ ტფილისის ოლქის სასამართლოს სისხლის სამართლის მეორე განყოფილება 22 თებერვალს სიღნაღში წავა სხვა-და-სხვა საქმეთა განსახილველად. ამ ქალაქში სესია დაჰყოფს 7 მარტამდე; ზაქათალაში—13-დგან 17 მარტამდე; დუშეთში—27-დგან 31 მარტამდე და თელავში—17-დგან 22 აპრილამდე.

⁂ 22 იანვარს ტფილისის თავად-აზნაურთა მორიგ კრებამ დაამტკიცა იმ თავად-აზნაურთა სიები, რომელთაც ნება ექნებათ 20 მარტს მონაწილეობა მიიღონ თავად-აზნაურთა საზოგადო კრებაში.

⁂ ქუთაისის გუბერნიაში საქონლის ჭირის წინააღმდეგ საბრძოლველად ხაზინას გადაუდვია 10 ათასი მანეთი.

⁂ ფოთის ქალაქის გამგეობას შეუკრავს პირობა ოლშევიჩისა და კერნეს ფირმის წარმომადგენელ ინჟენერ პასეკთან ქალაქის ელექტრონით განათების შესახებ.

⁂ როგორც გვატყობინებენ, ქ. იალტაში ნიკიტის სამეურნეო სასწავლებლის მმართველის ბ-ნ კ. ი. ტარასოვის ნებართვით 14 იანვარს, ნინოობა დღეს, სასწავლებლის მღვდელს გადაუხდია წირვა და შემდეგ პარაკლისი. წირვის დროს უგალობნიათ ამ სასწავლებლის ქართველ მოსწავლეებს ქართულად. პარაკლისის შემდეგ მღვდელს ამ დღის შესაფერისი სიტყვა წარმოუთქვამს და საქართველოსთვის წარმატება და დღეგრძელობა უსურვებია.

⁂ როგორც იუწყებიან, თიონეთის მაზრაში გაჩენილა საქონლის რაღაც გამოურკვეველი ავადმყოფობა. ავადმყოფობის გამოსარკვევად მაზრაში ბეითალი გაუგზავნიათ.

⁂ რადგანაც ქალაქის მეორე ნაწილის ბევრს სახლის პატრონს ქალაქის გარდასახადი დროზედ არ შეუტანიათ, ქალაქის გამგეობას დაუნიშნავს მათის სახლების საზოგადო ვაჭრობით გასყიდვა. სახლების აღწერას უკვე შესდგომიან.

⁂ ამიერ კავკასიის სააქციზო გარდასახადთა მმართველი ლ. ლ. პერშკე 22 იანვარს სამსახურისა გამო პეტერბურგს წავიდა.

⁂ ქალაქის გამგეობა შეუდგა იმ კედლის შეკეთებას, რომელიც დიდის მთავრის (წყლის პირის) ქუჩასთან მტკვრის ნაპირზედ არის გაკეთებული, რათა გაზაფხულის წყალდიდობამ სრულიად არ დააქციოს იგი.

⁂ 23 იანვარს, საღამოს 8 საათზე, ერთი ვიღაც მთვრალი კაცი ჩამოჯდა თამამშევის ქარვასლის ქვის მოაჯირზედ, უცნობმა თავი ველარ შეიმაგრა ჩავარდა ძირს და ძლიან დაშავდა. გრძნობა დაკარგული დაშავებული მიხეილის საავადმყოფოში გაგზავნეს. მისი მორჩენის იმედი არა აქვთ.

ქალაქის საბჭო

24 იანვარი

გამგეობამ მოახსენა კრებას, რომ რამდენიმე სული ძროხა და ცხვარი ვიყიდეთ, დავჰკალით და დავრწმუნდით, რომ ხორცზე ნიხრი უნდა შეიცვალოსო. საჭიროა, გირვანქა ძროხის ხორცზე 11 კაპ. დაწესდეს და ამდენივე ცხვრის ხორცზედაო.

ხმ. გრიქუროვი. ბოლოს უნდა მოელოს ყასბების თვით მნებლობას. რა ნიხრიც უნდა დააწესოთ, ისინი მაინც თავისას არ იშლიან, უნდა შემუშავდეს რაიმე წეს-რიგი, რომლითაც ყასბების ალაგმვა შეიძლებოდეს.

ქალაქის მოურავი გ. გ. ევანგულოვი. ამის შესახებ გამგეობაც ბევრს ჰფიქრობს. ნიხრის დაწესების დროს საბეითალო უწყების მმართველის თანაშემწე ბ-ნი კრიდნერი მოვიწვიეთ და მასთან ერთად იმ აზრს დავადექით, რომ ხსენებული უწესოების მოსპობა შეუძლიან რამდენიმედ, თუ ჩვენს საკუთარს ხორცით სავაჭრო დუქნებს დავაარსებთ. ამ საგნის შემუშავება გამგეობამ მიანდო თავისს წევრს თავ. არღუთინსკის.

თაიროვი. ეს როდის იქნება, არავინ იცის და ყასბების თვითმნებლობას დასასრული არა აქვს. აქ რაიმე განსაკუთრებული მიზეზი უნდა იყვეს უთუოდ. საშინჯ საქონლის დახოცვით კარგად ვერ ტყობილობთ ხორცის ნამდვილ ფასს. ეს რომ ასე არ იყვეს, მეყასბეები უნდა გამდიდრებულიყვნენ აქამდისინ, რადგან ყველანი დაწესებულ ნიხრზედ მაღალ ფასებში ჰყიდიან ხორცს. მაგრამ ბევრმა ჩვენგანმა იცის, რომ არც ერთს ყასაბს არ შეუძენია სიმდიდრე. ეს ასეც უნდა იყვეს, რადგან მათ ერთობ დიდი ხარჯი აქვსთ: მაგალითად, ხშირად საქონელი ეხოცებათ, საქონელს მოვლა უნდა და საკვები, რაიცა ხშირად ძვირდება ხოლმე და სხ. ამიტომ ვსთხოვოთ გამგეობას და ნიხრის გამწესებელ კომისიას ამ მხრით შეისწავლონ ხორცეულობის ნიხრის საქმე.

ხმ. ა. ს. ბაბოვი. ძლიერ სასიამოვნოა ქალაქის მოურავის წინადადება ჩვენის საკუთარის ხორცის დუქნების გამართვის შესახებ. სანამ ასეთი დუქნები არ გვექნება, ვერას გავაწყობთ, ხოლო მანამდისინ საჭიროა მომეტებული თვალ-ყური ადევნონ ქალაქის აგენტებმა, რომ ნიხრზედ იყიდებოდეს ხორცი.

ხმ. დოლუხანოვი. ნიხრი სრულიად უნდა მოისპოს, რადგან მაინც არავინ მისდევს მას, და მეყასბეებს სრული თავისუფლება მიენიჭოთ. ერთმანეთის ცილობაში თითონვე გააიაფებენ ხორცს.

ხმ. ა. ს. ბაბოვი. აგერ 20 წელიწადი იქნება, რაც ნიხრის მოსპობის შესახებ აღიძრება ხოლმე ლაპარაკი და საბჭო ყოველთვის უარსა ჰყოფს ამ წინადადებას. ნიხრი რომ მოისპოს, ყასბები პირობას შეჰკვრენ ერთმანეთ შორის და ხორცს კიდევ უფრო გააძვირებენ, როგორც იქცევიან, მაგალითად, მეპოვოსკეები და სხვანი. რა არის მიზეზი, რომ სხვა ქალაქებში ნიხრზედ იყიდება ხორცი და აქ კი არა? ეს იმის ბრალია, რომ ტფილისში ნაკლებად აქცევენ ყურადღებას, რომ საბჭოს დადგენილება სრულდებოდეს.

გამგეობის წევრი თავ. არღუთინსკი. ნიხრის გამწესებელი კომისია არ იკრიბება; თავმჯდომარე კომისიისა ყოველთვის უგზავნის ხოლმე ბარათს წევრებს, მაგრამ ან სრულებით არავინ მოდის, ან ერთი-ორი კაცი გამოცხადდება ხოლმე. ამისათვის საჭიროა, ისეთი ხმოსნები იქმნან არჩეული კომისიის წევრებად, რომელთაც მეტი დრო ექმნებათ ამ საქმისათვის. რაც შეეხება ხმ. თაიროვის განცხადებას, რომ საქონლის ფასს კარგად ვერ ტყობილობს გამგეობა და ნიხრს ალალ-ბედზე აწესებსო, ეს სიმართლეს მოკლებულია. გამგეობა იმ ფასებში ჰყიდულობს საქონელს, როგორც ყასბები. იმ საყვედურის გამო, რომ გამგეობის აგენტები თვალ-ყურს არ ადევნებენ საბჭოს დადგენილების შესრულებასო, უნდა მოგახსენოთ, რომ საზოგადოდ დიდი იმედი არ უნდა გვქონდეს ჩვენი აგენტებისა და პოლიციის წევრებისა. ისინი ყველგან და ყოველ ჟამს ხომ ვერ დაესწრებიან ხორცის მსყიდველებს. ჩვენი საკუთარი დუქნების დაარსება, მართალია, დიდათ შეუწყობს მცხოვრებლებს ხელს, მაგრამ ეს ადვილი საქმე როდია. ერთს ადგილას რომ გავხსნათ დუქანი, არა გამოვა-რა; საჭიროა, რამდენსამე ადგილას დავაარსოთ ასეთი დუქნები, რაიცა დიდს ფულსა, შრომას და საქმის ცოდნას თხოულობს; ამასთანავე საკუთარი კაცები უნდა ვიყოლიოთ ერევანსა, ყარსსა და სხვაგან, სადაც საქონელს ჰყიდიან. ერთი სიტყვით, ეს საქმე ცოტა დროს და ხარჯს არ თხოულობს, მაგრამ ვცდილობთ-კი, რომ, ადრე თუ გვიან, განვახორციელოთ ის.

თავმჯდომარემ განაცხადა, რომ საგანი გამორკვეული არისო, და შეეკითხა კრებას—ინებებთ თუ არა ახალის ნიხრის დამტკიცებასო. საბჭომ შეიწყნარა გამგეობის წინადადება.

გამგეობის წევრმა თავ. ჩერქეზიშვილმა წაიკითხა წინადადება ინჟინერის რობისა, რომელიც თხოულობს, რომ ნება მომეცით მთაწმინდის გორაზედ, ეგრედ წოდებული, „ფუნიკულერი“ (ხალხის ასაყვან-ჩამოსაყვანი მანქანა) გავმართოვო, და გამგეობის დადგენილება ამ წინადადების შესახებ. გამგეობა დაჰკითხვია ამ საგნის შესახებ ჯერ ქალაქის ინჟინერის თანამდებობის აღმასრულებელს ბ-ნ მუხარინსკის და შემდეგ ქალაქის ინჟინერს ბ-ნ ალიბეგოვს, რომელთაც შესაძლოდ უცვნიათ, რომ რობის წინადადება, რამდენისამე ცვლილებით, მიღებულ იქმნას.

ბ-ნი რობი, სხვათა შორის, ამბობს თავისს წინადადებაში: „15 მარტიდგან 15 ნოემბრამდის (დილის 7 საათიდგან ღამის 12 საათამდის) ყოველ ნახევარ საათში ივლის ვაგონებიო. შუა სადგურიდგან უკანასკნელ ზემო ანუ ქვემო სადგურამდის გამოერთმევა თითო კაცს 10 კაპ., ქვემო სადგურიდგან ზემო სადგურამდის—20 კ., ზემო სადგურიდგან ქვემო სადგურამდის—15 კაპ., იქით და აქეთ, ვინც ერთად იყიდის ბილეთს,—30 კ. მგზავრს უფასოდ შეუძლიან პატარა ბარგის წაღება, რომელსაც ანუ მუხლზე დაიდებს, ანუ სკამ ქვეშ შესდებს. ამაზედ უფრო მძიმე ბარგი თუ ვისმეს ექმნა, თითოეულს 2 ფუთში 5 კაპ გამოერთმევა. კონცესიის ვადის გასვლამდის, ქალაქს მიეცემა ყოველ წლობით სრული შემოსავლის 1%“.

ინჟინერს მუხარინსკის საუმჯობესოდ უცვნია მთელი წლის განმავლობაში დადიოდეს ვაგონები. ამასთანავე ბ-ნი მუხარინსკი იმ აზრისა არის, რომ ვინც 10 ბილეთს იყიდის, 10% დაეთმოს, ვინც 20-ს იყიდის—20% და ვინც 100-ს, 50%. აყვან-ჩამოყვანის ფასი, ბ-ნ მუხარინსკის აზრით, დიდი არ არის. გლიონში ფუნიკულერზედ ყოფილა დაწესებული: აყვანაში 1 ფრანკი, ჩამოყვანაში 0,75 ფრანკი და აყვან-ჩამოყვანაში—1,5 ფრ.

ინჟინერ ალიბეგოვის აზრით, 30 წლის განმავლობაში მოიჯარადრე ყოველივე ხარჯს აღადგენს, ხოლო 5 წლის შემოსავალი დახარჯულ ფულის სარგებლად ეყოფა. ამ ნაირად, 35 წლის შემდეგ რომ ქალაქს

უგდებდა და წამს მოისაზრა, მოიკრიფა უკანასკნელი ღონე და დაუძახა ხმა მაღლა:

— სანვიტო!..

გაიღო კარები და გამოჩნდა ზღვაოსანი, რომელიც შესვლას ვერა ჰბედავდა და ნევრონს შესცქეროდა.

— შემოდი,—უთხრა მოხუცმა.

— სანვიტო,—მიუბრუნდა მადლენა, მე სიმართლე ვუთხარ მამას, მაგრამ ყურს არ მიგდებს. ჭკუაზედ შეშლილი ვგონივარ, უამბეთ ყველაფერი, გთხოვთ, მე ასე მსურს!

სანვიტომ დაწვრილებით უამბო ნევრონს ტიტოს და მადლენას ამბავი. მოხუცი უძრავად უსმენდა. ისე მოიქანცა, რომ ხმის ამოღების თავიც-კი აღარ ჰქონდა.

უცბად მადლენამ მოხვია მამას ხელები და გულ-საკლავის ხმით, ვედრებით წასჩურჩულა:

— მამა, მოვკვდები... ის უნდა ვნახოთ!..

მისი სევდით სავსე ხმა გულის სიძირკვლამდის ჩასწვდა მოხუცს, მეტი ველარ შესძლო, აღშფოთებული წამოვარდა ზეზედ, ხმა ამოუღებლივ მივიდა განჯინასთან, გამოიღო იქიდგან თავისი ძველი სამხედრო ტანისამოსი, ილლიაში ამოიჩარა და ბარბაცით გაიჭრა გარედ. გაემართა საპყრობილისაკენ, სადაც შესვლა ყოველთვის, ყოველს ჟამს შეეძლო. შევიდა შიგ, შეხვეული ტანთსაცმელი დაუყარა ყაჩაღს წინ და მკაცრად უთხრა:

— კვდება... შენს ნახვას თხოულობს!.. ჩაიცვი, წამომყევ!..

VII

დადგა ღამე, ღამე ტანჯვისა და ვაებისა. ყაჩაღის დანახვაზედ მადლენა არ განძრეულა; სიკვდილი უკვე დასტრიალებდა თავს. მხოლოდ წამწამების თრთოლაზედ თუ შეატყობდით, რომ მას ჯერ კიდევ არ დაჰკარგვოდა გრძნობა და რომ ტიტო იცნო. მოხუცი ჯარის-კაცი და ყაჩაღი ჩამოსხდნენ საწოლის ორთავ მხარეს და თითოეულმა მათგანმა ხელი გამოართვა მომაკვდავს. საბრალო მადლენა მიმქრალს თვალებს ხან ერთს დააშტერებდა გამოუთქმელის სიყვარულით და ხან მეორეს.

გარეთ-კი ამ დროს მიდამო საუცხოვო სურათს წარმოადგენდა. ვარსკვლავებით შეჭედილს ცას კაშკაში გაჰქონდა. პირბადრი მთვარე თავისს ნაზს, მკრთალს შუქს უხვად აფრქვევდა. ქუჩის ხმაურობა აშკარად მოისმოდა ძირიდგან. მეთევზეების მხიარული სიმღერა ნაზად, თრთოლვით ეფინებოდა ზღვის თვალგადაუწვდენელს კიდეს და თან და თან სუსტდებოდა და იკარგებოდა შორს განუზომელს სივრცეში.

უცებ მოისმა ფრთხილი კარის კაკუნი, ნევრონი ის იყო უნდა წამომდგარიყო, რომ ისევ დაეშვა სკამზედ. ეშინოდა, მადლენა უიმისოდ არ მომკვდარიყო. იმას სურდა უკანასკნელ სულის ამოხდამდე დარჩენილიყო მასთან და ხელში სჭეროდა მისი ცივი ხელი, რომელიც ისე ჩამომდნარიყო ამ მოკლე ხანში, რომ ბეჭედი თავის-თავად გავარდა ქალს ხელიდგან. ვერ აეტანა ის გრძნობა, რომ შეიძლება ყაჩაღი ერთის წუთით მაინც მეტს დარჩეს ჩემს ქალთანაო.

კაკუნი განმეორდა.

— ვიღაც არის!.. მკაცრად მიუბრუნდა მოხუცი ტიტოს.

ტიტო წამოდგა და სიბნელეში ფათურით კარებისაკენ წავიდა. გაღებულ კარებში მან ორი უცნობი გაარჩია.

— თქვენა ხართ ნევრონი, იკითხა ერთმა.

— არა, მე იმისი ნათესავი ვარ.., ნევრონი ოთახშია, თავისს ავადმყოფ ქალთან.

— ჰო, დაიწყო მანვე: შევიტყეთ მაგის უპედურების ამბავი და ყაზარმაში ყველას გვეწყინა. ასე გარდაეცით. რასაკვირველია, არ შევაწუხებდით, ძალიან საჭირო საქმე რომ არა ყოფილიყო... ყაჩაღის თაობაზედა ვართ მოსულნი; ტიტო გუშინ საღამოს გაიქცა... წერილი გვაქვს ნევრონთან,—ბრძანება...

— მომეცით!—მიუგო ტიტომ.

წერილი გამოართვა, მიხურა კარები და ის იყო გამობრუნებას აპირებდა, რომ ნევრონი წინ გადაეღობა. საბრალო მოხუცს სახე მთლად გაჰფითრებოდა, მომაკვდავის ფერი დასდებოდა და ტუჩები გალურჯებოდა...

— გარდაიცვალა!.. გულ გამგმირავი ხმით წამოიკვნესა იმან. წუთს შემდეგ უცბად წელში გასწორდა, მაგრად წაავლო საყელოში ყაჩაღს ხელი და ბრძანების კილოთი შესძახა:

— კანონის ძალით გაპატიმრებთ!..

ა. დ. წინამძღვარიშვილი

გადასცეს გზა სრულის მოწყობილობით, ზარალში არ იქნება.

გამგეობას სასარგებლოდ უცვნია ქალაქის მკვიდრთათვის ბ-ნ რობის წინადადება და დაუდგენია, რომ 35 წლის ვადით ნება მიეცეს მას ფუნიკულების გამართვისა, ხალხის აყვან-ჩამოყვანაზედ მისგანვე წარმოდგენილი ქირა დაწესდეს ზემოხსენებულ შენიშვნებით და საბჭომ განსაკუთრებული კომისია აირჩიოს, რომელიც გამგეობასთან და ბ-ნ რობისთან ერთად ხელშეკრულობის პროექტს შეიმუშავებსო.

ხანგრძლივ კამათის შემდეგ, საბჭომ შეიწყნარა გამგეობის წინადადება იმ განსხვავებით, რომ თუ ვინმე მსურველი გამოჩნდება, სხვა ადგილას, მაგალითად, ბოტანიკურ ბაღზედ, გამართოს ასეთივე ანუ სხვა გვარი მანქანა ხალხის ასაყვან-ჩამოსაყვანად, რობისთან დადებულმა ხელშეკრულობამ ხელი არ შეუშალოსო. კომისიის წევრებად კენჭის ყრით არჩეულ იქმნენ: კ. მ. ალიხანოვი, ა. პ. შიმკევიჩი, ი. ა. თაიროვი, ნ. ი. კარაპეტოვი, ა. ს. ბაბოვი, ლ. პ. ბილფელდი და მ. ?. დოლუხანოვი.

ცოტა რამ ფშავ-ხევსურეთის ვითარების შესახებ

(წერილი „კავკასიაში მართლ-მადიდებელ ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოების“ საბჭოს მიმართ)

ყველას მოგეხსენებათ, რომ ფშავეთი და ხევსურეთი (ფშავ-ხევსურეთი) დაწინაურებას აპირობს; სკოლები არსდება; სამღვდელოება იღვიძებს. ამას წინად მღვდლებს საჯაროდ უცვნიათ, რომ წიგნთ-საცავი დაარსდეს სოფელ შუაფხოში. ამის გაგონება ყველას გვესიამოვნა, მხოლოდ ერთი რამ არ დაგვრჩა სასიამოვნოდ: შარშან და იმის წინა წლებში ჩვენ, ფშაველებმა, განვიზრახეთ სკოლის დაარსება, მაგრამ, ჩვენის შეუძლებლობის გამო, ნახევარი ხარჯი ძლივს ვიკისრეთ სკოლისა და მისის შენობის აგებისთვის; დანარჩენში „კავკასიაში მართლ-მადიდებელ ქრისტიანობის აღმადგენელი საზოგადოება“ უნდა დაგვხმარებოდა და დაგვეხმარება კიდეც, როგორც ვიცით. მაგრამ, მაგარი ის არის, რომ ჩვენ, ფშაველებმა (შუაფხო-მაღაროსკარის საზოგადოების მცხოვრებთ), როცა განაჩენი დავადგინეთ, სასკოლო ადგილად სოფელი ჩარგალი დავასახელეთ. ეხლა გავიგეთ, სკოლა მაღაროსკარში არსდებაო! სკოლა ყველგან კარგია, გარნა გვაწუხებს-კი ერთი რამ: თუ მაღაროსკარში დაარსდება სკოლა, თავშესაფარიც ექნება, სადაც ჩვენმა შვილებმა უნდა იცხოვრონ, მაგრამ ჩვენ შვილები ორის სქესისა გვყავს—ვაჟები და ქალები. ვაჟები რომ თავ-შესაფარში მოვათავსოთ, ქალებს რაღა ვუყოთ? ჩვენ გვსურს ქალიშვილებსაც ვასწავლოთ და სად დავაყენოთ ისინი? თავ-შესაფარში სულ ერთიან ხომ არ მოვათავსებთ ქალებსაც და ვაჟებსაც? სწორედ უნდა ვთქვათ—ეს თავშესაფარი საკმაო არ იქნება და აი რატომ: ჩვენ სკოლას უმეტესად ხელი უნდა მოვყაროთ, იმით ვისურვებთ და არც ვიყოლიებთ სკოლაში იმაზედ ნაკლებს მოწაფეებს, რაც შიგ მოთავსდება. ასი რომ არა ვთქვა, სამოც-ოთხმოცი იყოს, სიტყვაზედ. მაღაროსკართან სხვა სოფელი არ არის 8-15—20 ვერსის უახლოვესს. ამის გამო სად მიბრძანებთ შვილები დავაყენოთ? თავშესაფარში? მაგრამ რომელი თავშესაფარი იტევითებს იმდენს ხალხს? დიახ, სოფელი თუ არა, სამი ოთხი კომლი ხომ მაინც ჩუჩუნებს მაღაროსკარის გარშემო? მაგრამ რომელი ერთი მივაბაროთ იმათ? ჰო, დუქნებიც კია მაღაროსკარში. იქნებ იქა ბრძანოთ მათი ჩაბარება? აქ საჭიროა, ესეც ითქვას: მაღაროსკარის სკოლა სულ ფშავის განაპირას იქნება, იმისთანა ადგილს, რომელსაც მხოლოდ ერთი სანაცვლო, ანუ 60—80 კომლი მოსწვდება. დანარჩენი ფშავი არაგვისხეობისა, ასე ვთქვათ, არა ნაკლები 600 კომლისა, ჩრდილოეთისაკენ დარჩება და ზოგი მისი სოფლები სიშორით 60—70 ვერსტზედ. ჩარგალს-კი ფშავის მიდამოებში უფრო საშუალო მდებარეობა აქვს და ხალხიც სკოლას ყოველ მხრიდგან მარჯვედ მოსწვდება. სკოლა რომ ჩარგალში დაარსებულიყო, მაშინ ჩვენს შვილებს უწინდელერ სოფელშიაც აუჩენდით სახლის პატრონებს, რომლებიდგანაც პურ-ჯერით იოლად გამოვიდოდნენ უამინდობის დროს, როცა თოვლ-ზვავის და მისთანათა მიზეზით მათი (ჩვენი შვილების) მიშველება აღარ ძალ-გვედებოდა.

აი, ეს ზემორე საბუთები ჰქონდა ჩვენს ამორჩეულ კაცებს, როცა ისინი სასკოლოდ ჩარგალს იჩენდენ. სკოლისგან ჩვენ ბევრს რასმე მოველოდდით, მაგრამ, უკეთუ ის მართლა მაღაროსკარში იქნება, იმდენად არ გამოგვადგება. არ ვიცით, რად შეიწყნარა წინადადება მაღაროსკარში სკოლის დაარსების შესახებ „კავკასიაში ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოების“ საბჭომ, იმ საზოგადოებისამ, რომელიც ერთად-ერთი ილვწვის ჩვენის განათლებისათვის? ნუ თუ აღარაფერი ეშველება?..

გავიგეთ-კი, სკოლის შენებას მომავალ გაზაფხულიდგან შეუდგებიანო.

ფშაველი მწყემსი

დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

სოფ. სალუგარდანი, (კავკავის მაზრა). ამ ორის წლის წინად სადონში მიმავალ ფოშტას თავს დაეცნენ რამდენიმე ოსი, გაძარცვეს, ფრანგთა საზოგადოების ხაზინადარს მანეთამდე ფული წაიღეს და მიიმალნენ. მთავრობამ ჯეროვანი ღონისძიება იხმარა ქურდების აღმოსაჩენად და კიდეც აღმოაჩინეს ოთხი კაცი,—გაბუევი, წახილოვი, ჯიოკაევი და დიამბეგოვი. როგორც კავკავის ოლქის სასამართლომ, ისე ტფილისის სასამართლო პალატამ პირველი სამი კაცი დამნაშავედ იცნო და სამუდამოდ დაკარგვა გადაუწყვიტა, ხოლო მეოთხემ კი—დიამბეგოვმა—თავი იმართლა. მაგრამ მერმე საქმე სულ სხვანაირად გამოირკვა: მძარცველებს ნაძარცვი ფული დიამბეგოვთან ჰქონდათ მიბარებული (დიამბეგოვი შეძლებული კაცია, დუქნები აქვს და დღემდის არაფერში შენიშნული არა ყოფილა). წარსულ დეკემბრის პირველ რიცხვებში ერთის მძარცველის ცოლი მისულა დიამბეგოვთან და შეუტყობინია: ხომ ჰხედავ, ჩემი ქმარი იკარგება, ფული კი შენთან არის, მოგვეცი რამე, რომ იმითი მაინც ვინუგეშოთ თავიო. დიამბეგოვი არ ენდო დედაკაცს და არ მისცა ფული; ადგა და გასწია კავკავში, მისცა კავკავის ფოსტაში ას-ორმოცდა-ათი თუმანი, ე. ი. თითოს ორმოცდა ათი თუმანი და გაუგზავნა კავკავის სატუსაღოში ტუსაღებს—წახილოვის, გაბუევისა და ჯიოკაევის სახელზედ. სატუსაღოს ზედამხედველმა მიიღო თუ არა ფული, საჩქაროდ აცნობა პრალმდებელს და ამ უკანასკნელმა მაშინვე მისწერა სალუგარდანში პოლიციას, რომ დიამბეგოვი დაატუსაღეთ და წარმომიდგინეთო. მართლაც, დიამბეგოვი დაატუსაღეს და წარუდგინეს პრალმდებელს. დიამბეგოვი სულ გამოტყდა და აღიარა, რომ მეც წახილოვისა, გაბუევისა და ჯიოკაევის ამხანაგი ვარო. ოც-და-სამს დეკემბერს პრალმდებლის ამხანაგი და კავკავის მაზრის პირველი ნაწილის უფროსი სტეფანოვი იყვნენ დიამბეგოვის სახლის გასაჩხრეკად. დიამბეგოვიც დატუსაღებულია და გამოძიებას სწარმოებენ.

ქართველი ოსებში

ბ-ნ ექიმ ვახტანგ ღამბაშიძეს პასუხად *).

წავიკითხე თქვენი ჩემდამი ღია წერილი, „მწყემსის“ მე-22 №-ში და „კვალის“ მე-50 №-ში დაბეჭდილი რედაქციის შენიშვნით და, სწორედ უნდა მოგახსენოთ, ამ წერილმა ძლიერ გამაკვირვა და შემაწუხა კიდეც. გამაკვირვა იმიტომ, რომ გეწაძის მოწმობის მიმცემი ექიმი გაზეთში საპასუხოდ მიწვევს ჭორზედ დამყარებულ „მოტივებისა“ გამო. შემაწუხა-კი მით, რომ ამ წერილზედ ჩემდა უნებურად იძულებული გავხდი ახლად ქვეყანაში სამოღვაწეოდ გამოსულს ყმაწვილს კაცს მისთანა პასუხი გავცე, რომელიც, მგონია, დიდებასა და ქებას არ შესძენს თქვენს სახელს, მაგრამ რა გაეწყობა!.. Suum cuique.

დავიწყებ მით, რომ თქვენი წერილი „რეკლამა“ მგონია ისე, როგორც დიდხანს შვრებოდა ხოლმე ერთი საზღვარგარედ ნამყოფი ექიმი ტფილისში: „ვკურნავ მოკლე დროში ყოველგვარ სნეულებას“ და აღრიცხავდა ხოლმე სხვა და-სხვა სნეულების სახელს თვით სიკვდილის ბრჭყალებამდე. თუ ეს ასე არ არის, რისთვის მწამებთ, ვითომც მე ვფიქრობდე, რომ თქვენ ჩემს ადგილს ეპოტინებით და შიშით თავს ზარ-დაცემული ქვეყანას ამას შევჩივოდე?

თორმეტი წელიწადი იქნება, რაც ამ სამსახურში ვარ და თუნდა ბევრი კარგიც არ გამეკეთებინოს, არა წამიხდენია-რა მაინც და არცა მგონია ბინძურის ცემით გამომაგდონ! ან თქვენ რა გადაგეთქვათ გეწაძისთვის, შესანიშნავის მოწმობის მიცემის გარდა, რომ მოგიწვიონ, თუმცა-და ეს ადგილი თქვენ, რასაკვირველია, უფრო დაგემსხრობათ.

ჩემი თქვენდამი შიში-კი არა, ეს თქვენი მოწმობა არის მიზეზი ამ უსიამოვნოს ატეხისა და შევუდგეთ ამ თქვენგან აღძრულის კითხვის გამოკვლევას.

შარშან აგვისტოს მომივიდა უფროსის ექიმისაგან მოწერილობა, რომ დაწვრილებით მიმეცა პასუხი იმ საჩივრისა, რომელიც ბესარიონ გეწაძეს მიურთმევია რკინის გზის უფროსის ბ-ნ ვედენეევისათვის და რომელშიაც იგი აცხადებს, რომ მე და ჩემი ფერშალი ივანოვი მოვექეცით მას ძლიერ სასტიკად, ავადმყოფად არ ვიცანით და „ბილეტენშიაც“ ჩავუწერეთ, რომ ავადმყოფობას იგონებსო. ამავე საჩივარში გეწაძე სწერს, რომ ძლიერ ავად გავხდი ხუთს აგვისტოს იმის შემდეგ, რაც სამსახურის ასრულების დროს ყურში მწერი ჩამიძვრა, მაგრამ ათს აგვისტომდის ვითმენდი ავადმყოფობას და სამსახურიც არ გამიცდენიაო. ათს-კი ავიღე „ბილეტენი“ და მივედი ფერშალ ივანოვთან შემწეობის მისაღებად, მაგრამ ივანოვმა ავადმყოფობა ვერ გამოიცნო და ცილიც შემწამა, ავადმყოფობას იგონებო. თორმეტს აგვისტოს მეორედ მივედ ფერშალ ივანოვთან და მაშინ ის ძლიერ გამიწყრა, გამლანძღა უშვერის ენით და მიბრძანა, რომ მიმემართა რკინის გზის ექიმ ნაზაროვისათვის ქუთაისში და მეც იმ დღესვე, ესე იგი თორმეტს აგვისტოს ვიყავი ექიმთანო, მაგრამ იმანაც ვერ გამოიცნო ჩემი სნეულება და თითქმის იგივე აზრი გამოსთქვა, რაც ივანოვმა, მხოლოდ მომცა რაღაცა მცირედი „კაპლები“ ყურში ჩასასხმელად; მუშაობიდგან-კი არ განმათავისუფლაო.

ამის შემდეგ გეწაძე თავისს საჩივარში ცილს სწამებს ფერშალ ივანოვს, ვითომ იგი სახელმწიფო წამლებს კერძო ხალხს აძლევდეს და მოსამსახურეებს-კი უსინიდისოდ ეპყრობოდეს და თქვენ-კი, ბ-ნს ღამბაშიძეს, გიძღვნით დიდს ქებასა და დიდებას და თან მადლობასაც, რომ დაიხსენით იგი არა თუ ტანჯვისაგან, არამედ სიკვდილისაგანაც. აქვე დასძენს გეწაძე, რომ ამ ჩემსა და ჩემის ფერშლის ურიგო საქციელს ყურადღება მიაქციონ და ჯეროვნად დაგვსაჯონ და იმას-კი დაუბრუნონ ის თხუთმეტი მანეთი, რომელიც მან თქვენ საექიმოდ მოგართვაო. ამ საჩივარში იყო ჩადებული თქვენგან ხელ-მოწერილი მოწმობა, რომელიც თითქმის ყოველსავე საჩივრის მუხლს ამტკიცებდა **).

იმ დროს, ბ-ნო ღამბაშიძე, თქვენ არ გიცნობდით, თუმცადა „მწყემსში“-კი ბევრჯელ მქონდა წაკითხული თქვენს მრავალ დღეწლიან მოქმედების შესახებ შორაპნის მაზრაში და ამის გამოც ვერ დავაჯერე ჩემი თავი, რომ მოწმობა თქვენი შედგენილი ყოფილიყო. ნება მომეცით ჯერ გაგახსენოთ ის თქვენი მოწმობა და მერე გაგაცნოთ იმ პასუხს, რომელიც მივწერე ჩემს უფროსს ექიმს:

„მოწმობა *)

მიეცა ესე რემონტის მუშას კავკასიის რკინის გზისას ბესარიონ მაქსიმეს ძეს გეწაძეს მას შინა რომელ, მოიქცა რა იგი წინაშე ჩემსა 12 აგვისტოს წარმოადგენდა ყოველსა ნიშნებსა („სიმტომებსა“) ტანჯვისასა გამოწვეულისა გარეშე სხეულისა გამო მდებარისა მარჯვენასა ყურსა შინა რომელიც დაუყოვნებლად ნაპოვნი იყო ჩემ მიერ გასინჯვითა ყურის ხვრელისა რომელმანაც აღმოაჩინა ნაწილნი მწერისა თვით სახმაურო (барабанная перепонка) აპკის წინ; რომელ ნაწილნი გამოღებულნი მტკივანის ყურისაგან ცხადათ გვანან ნაწილთა გვარიან დიდის მწერისა, რომელსაცა შეეძლო იქ შესვლა მხოლოდ ცოცხლათ მყოფსა; ამასთანავე დანაკუწება მწერისა ნებას არ მაძლევს გამოვსთქვა გარდაწყვეტილათ უკანასკნელის ბუნებაზედ; რომელ ავადმყოფობას ამ გვარი ტანჯვისას რომლის თავდაპირველ დასაწყისად შეიქმნა გარეშე სხეულის ყოფნა, რომელიც უმაღლეს ხარისხამდის სტეხდა ყურში, უნდა მიეყენებია ავათმყოფისათვის მრავალი და ძლიერი ტკივილები გარდა კატარალურის სიმსივნისა. ყურის ხვრელისა რაიცა შეიქმნა მიუცილებელ შედეგად თავმინებებულისა და ავადმყოფობის დროზედ უქმობისა; რომელ მოვიდა რა იგი ჩემთან მეშვიდესა დღესა ზედა ტკივილის დაწყებისა ავადმყოფი განკურნებულ იყო ჩემ მიერ აღმოჩენილისა შემწეობით, რომელიც შეადგენდა გარეშე სხეულის გამოღებასა და ზედიზედ ყურის გამორეცხვას და ამასთანავე ნაწილნი ყურიდგან გამოღებულნი მაქვს უვნებლად შენახულნი თუ ვინიცობაა საჭირო შეიქმნა მათი წარდგენა რასა შინა ხელს ვაწერ ექიმი ვახტანგ დავითის ძე ღამბაშიძე. 12 აგვისტოს 1898 წელს დ. ჟვირილა“.

ბევრი ვეცადე ეს თქვენი მოწმობა ცოტა უფრო აზრიანად გადათარგმნილიყო და თან „ორიგინალის“ ხასიათი დაცულ ყოფილიყო, მაგრამ არ მოხერხდა, იმნაირის რუსულის ენით არის დაწერილი. თუ მამა რედაქტორი ღამბაშიძე თავისს პატივცემულ ჟურნალში იმდენს ადგილს მითავაზებს, რომ ეს მოწმობა რუსულადაც დავბეჭდო, ძლიერ მადლობელი ვიქნები და მაშინ ველარავინ შემწამებს, რომ განგებ უაზროდ გამეხადოს თქვენგან მიცემული მოწმობა.

ეხლა, ბ-ნო ვახტანგ, წაიკითხეთ ჩემგან გაგზავნილი უფროს ექიმთან პასუხი გეწაძის საჩივარისა.

(დასასრული იქნება)

უცხოეთი

ინგლის-ტრანსვაალის ომი.

ინგლისის მთავრობა დღემდის არ აქვეყნებს ოფიციალურ ცნობებს იმის შესახებ, თუ რამდენი კაცი დაიღუპა და რამდენი ტყვედ იქმნა წაყვანილი სპიონსკოპთან მომხდარ ბრძოლაში. როგორც ჰფიქრობენ, ტყვედ ბევრად იმაზედ მეტია წაყვანილი, რაც პირველ დეპეშებში იყო აღნიშნული. ბულლერს 30 ათასი ჯარის კაცი ჰყოლია და ამოდენა ჯარის უკან დახევა ინგლისში მეტად სამარცხვინო საქმედ მიაჩნიათ. ჟურნალ-გაზეთობამ და საზოგადოებამ ერთხმად მოითხოვა, რომ სამხრეთ აფრიკაში ახალი ჯარი იქმნას გაგზავნილი, სულ ცოტა 100 ათასი კაცი მაინც. თქმა კი ადვილია, მაგრამ ასრულება-კი ძნელი. საქმე ის არის, რომ ინგლისი აგრე ადვილად ვერ მოჰკრებავს ამდენ ჯარს.

— ინგლის-ტრანსვაალის ომის დაწყებამდე არც-კი ვინმე იცოდა ტრანსვაალის ელჩის ლეიდსის არსებობა, ეხლა-კი ისე დღე არ გავა თურმე, რომ ლეიდსთან 10—15 კაცი არ შევიდეს, მათ შორის ზოგი ჟურნალისტია, ზოგი ამა თუ იმ სახელმწიფოს წარჩინებული მოხელე, ზოგი კიდევ მდიდარი ვაჭარი ან ინჟენერი, რომელთაც ტრანსვაალთან რამე საქმის დაჭერა განუზრახავთ. ყველასთან ლეიდსი სიხარულით და სიამოვნებით ლაპარაკობს და ყველასთვის აქვს ხოლმე სათქმელი ახალი რამ. ამას წინად ლეიდსთან „Berliner Tag.“-ს კორესპონდენტსა ჰქონია ლაპარაკი. კორესპონდენტს უკითხნია: „რასა ჰფიქრობს თქვენი მთავრობა ზავის ჩამოგდების შესახებაო“. ლეიდს უთქვამს, ჩვენ წინააღმდეგნი არა ვართ ზავისა, მაგრამ ისეთისა კი, რომელიც ჩვენთვის სასარგებლო იქმნებაო. უპირველეს ყოვლისა მოვითხოვთ, რომ

---

*) ეს საპასუხო წერილი გავუგზავნე „მწყემსის“ და „კვალის“ რედაქციებს, რადგან ჩემს წინააღმდეგ ამ გაზეთებში იყო დასტამბული წერილები, მაგრამ არ დაბეჭდეს და ამიტომ იძულებული ვარ „ივერიის“ რედაქციას მივმართო და ვსთხოვო მისი დაბეჭდვა.

**) ეს თხოვნა გეწაძისა და მოწმობა დღეს ჩვენს ხელშია და ვიდრე უფროს ექიმისათვის არ დამიბრუნებია, ვისთვისაც საინტერესოა, შეუძლიან წაიკითხოს,

*) ამ მოწმობაში ნიშნები, ესე იგი წერტილი და მძიმე, ანუ მარტო მძიმე თქვენი არის და ჩვენ არ ჩაგვიმატებია.

ტრანსვაალი დამოუკიდებელ სახელმწიფოდ იქმნას აღიარებული. შემდეგ ინგლისს იმ მიწა-ადგილების დაბრუნებას მოვსთხოვთ, რომელიც წინად ინგლისმა ჩამოართვა. დასასრულ ტრანსვაალი ერთ ნავთ-სადგურსაც მოითხოვს.

დამეკვირდი

მხოლოდ ის ადამიანი მოიპოვებს თავისუფლებას, ვინც თავისის თავის მართვას ისწავლის.

ფრიდრიხ პერტსი

* * *

დედაკაცის ენა ხურჯინს ჰგავს.

რუსული ანდაზა

* * *

მოძღვარი ენა ტკბილად მოუბარი, სახიერი და გამჭრიახ გონებიანი შური, სჯული და კანონის მრჩევლთათვის.

ლასურიძე

ჟურნალ-გაზეთებიდგან.

(ამოკრებილი ამბები)

როგორც სტატისტიკურ ცნობებიდგანა სჩანს, გერმანიაც მდიდარი ყოფილა მილიონერებით. პრუსიაში 11 მილიონერია ისეთი, რომელთა ქონებაც თვითეულისა 30 მილიონ მარკას აღემატება, გესსენნასსაუში—2, რეინის პროვინციაში—2, ვესტფალიაში—1 და ბერლინში—2. უფრო ბევრია გერმანიაში ისეთი მილიონერი, რომლის ქონებაც 30 მილიონ მარკაზედ ნაკლებია. მარტო ბერლინში ამ ქამად 1306 კაცია ასეთის შეძლების პატრონი, მაშინ, როდესაც სამის წლის წინად, სახელდობრ 1897 წელს, მხოლოდ 1221 კაცი იყო; პოსტდამის ოლქში—136 კაცია. ბერლინის მილიონერთა შორის 830 კაცს 1—2 მილიონ მარკამდე შეძლება აქვს, 367 კაცს—2—5 მილიონამდე, 72 კაცს—5—10 მილიონამდე, 13 კაცს—10—15 მილიონამდე, 14 კაცს—15—20 მილიონამდე, 3 კაცს—20—25 მილიონამდე, 2 კაცს—25—30 მილიონამდე და, დასასრულ, 2 კაცს – 30 მილიონ მარკაზედ მეტი შეძლება აქვს. პრუსიელ მილიონერთა შორის 49 კაცს თვითეულს წელიწადში ერთი მილიონი მარკა აქვს შემოსავალი. 100,000 მარკა შემოსავალი ბერლინელ მდიდართა შორის 603 კაცსა აქვს.

* * *

ერთი მეცნიერი ექიმი როტენი ამტკიცებს, რომ სიცილი ადამიანებს გარდა პირუტყვებმაც იციანო. ამას მარტო როტენი არ ამტკიცებს. ბიუფონის აზრით, სხვათა შორის, სიცილის ნიჭი კატასა, ძაღლსა და ცხენსაც კი აქვს. დარვინს მაიმუნის სიცილიც კი გაუგონია. სიცილი სიამოვნების გამომხატველი გრძნობაა, ამბობს როტენი, ამიტომ ბავშვები მაშინ იწყებენ სიცილს, როდესაც თვით-ცნობიერება ეღვიძებათ, ე. ი. როდესაც სიამოვნების ან უსიამოვნების გრძნობა შეუძლიანთ. სიცილი ხელოვნურადაც შეიძლება გამოწვეულ იქმნას, მაგალითად ელექტრონის, ღიტინის შემწეობით. იმათ, ვინც ოპიუმსა სწევენ, ყოველთვის იდიოტური ღიმი უქრით ტუჩებზედ. სიცილი ამათ გარდა დამბლამა და ისტერიკამაც იცის. იდიოტის სიცილი ბავშვის სიცილსა ჰგავს: იგი წამ და უწუმ უმიზეზოდ იღრიჭება. საღ და ჯანმრთელი კაცის სიცილი ბედნიერების მომასწავებელია. სასურველია ექიმის აზრით, რომ კაცს გარემოება და მოწყობილება ხელს უწყობდეს სიცილისათვისაო. ლიონში ერთის ფოტოგრაფის სახელოსნო წინად წითელის სინათლით იყო განათებული, ფოტოგრაფიის მუშები მთელი დღე მღეროდნენ, იცინოდნენ და საზოგადოდ მხიარულად იყვნენ თურმე. ხოლო როდესაც ფოტოგრაფს სინათლე გამოუცვლია და წითელის ნაცვლად მწვანე შემოუღია, მუშები მთელ დღეს მოწყენილნი და გარუმებულნი იყვნენ თურმე.

* * *

ამას წინად ამერიკაში ერთი ძალიან მდიდარი კაცი მომკვდარა. მდიდარი მრავალს ვერცხლისა, ოქროსი და ალმასის მადნების პატრონი იყო, მაგრამ მემკვიდრე კი არავინ დარჩენია, რადგანაც ახლო ნათესავი არა ჰყოლია. მეტად უცნაური ანდერძი დაუტოვებია ამ მდიდარს. ჩემის ქონების ნახევარს, ნათქვამია ანდერძში, იმას დაუთმობს, ვინც გამაცოცხლებსო; მეორე ნახევარ კი ჩემთვის ვიტოვებ, რადგანაც თუ გავცოცხლდი, უნდა მქონდეს რამ, რომ ვიცხოვროო. ანდერძში ისიც არის ნათქვამი, რომ თუ ექიმები მეტად მცირე სასყიდლის გულისთვის ისე გულმოდგინეთ ისტუმრებენ საიქიოს დიდსა და პატარას, შეიძლება მათ შორის ისეთი ექიმიც გამოჩნდეს, რომელმაც ასეთის დიდის სასყიდლისათვის საიქიოდგან ხელ-ახლა დამაბრუნოს სააქაოსაო.

გამოსადეგი ცნობა

ერთს მკითხველს ხშირად გაუგონია საჩივარი სუსტ სტომაქის პატრონთაგან, რომ ძროხის რძეს ვერ ვიტანთო. თითონაც ასეთის სტომაქის პატრონი იყო და ძროხის რძის ასატანად ანუ მოსანელებლად იმასა ჰხმარობდა თურმე, რომ მარილ მოყრილ პურის ნატეხებსა სჭამდა.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

24 იანვარი.

პეტერბურგი. სამეცნიერო აკადემიაში დაიწყო მეტეოროლოგთა კრება. კრება დიდმა მთავარმა კონსტანტინეს ძემ გახსნა. დაესწრნენ მინისტრები მიწად-მოქმედებისა, გზათა და საერო განათლებისა.

ლონდონი. პიტერმარიცბურგიდგან „Daily Mail“-ს დეპეშით ატყობინებენ, რომ ბულლერმა გზა გაიკვლია ლედი-სმიტისაკენ წასასვლელადაო.

„Daily Teleg.“-ს სპირმანიდგან ატყობინებენ, რომ აქ მშვიდობიანობაა. მხოლოდ გუშინა და დღეს მცირე შეტაკება მოხდა დონგასთან. ტუგელის ჩრდილოეთით მყოფმა ინგლისის ქვეითა ჯარმა და სვატსკოპთან მყოფ ცხენოსანთა რაზმმა წინ წაიწიეს და გზა შეუკრეს ბურების რამდენსამე მცირე რაზმს. ლედი-სმიტს ყუმბარებს ესვრიან ბურები, მაგრამ ვნებას მცირეს აყენებენ.

„Stan.“-ს დურბანიდგან დეპეშით ატყობინებენ, რომ, კაპიტანის პერსი-სკოტის განკარგულებით, ადგილობრივი გაზეთი დახურულ იქმნა იმ წერილის გამო, რომელშიაც არ ჩევდნენ ბულლერის ყოფა-ქცევას ომის დროს. გაზეთის რედაქცია დაკეტეს და გასაღები მოხელეებმა წაიღეს.

დურბანიდგან ატყობინებენ გაზეთებს, რომ ბულლერი 21 იანვარს, ღამე, მდ. ტუგელს გადავიდა და ლედი-სმიტისაკენ წავიდაო. ბულლერის ჯარის მოქმედების შესახებ ცნობები მხოლოდ მაშინ იქმნება გამოქვეყნებული, როდესაც ლედი-სმიტს გაანთავისუფლებენ.

„ლედი სმიტიდგან რეიტერის სააგენტოს ატყობინებენ, რომ გუშინ აქ ბულლერის ზარბაზნების სროლის ხმა ისმოდაო. რა მოხდა, არა ვიცით რაო. ბურები ათასობით შემოერტყნენ გარს ლედი-სმიტს და სპარაიზის გორაკზე დიდს ზარბაზნებს აწყობენო. ჩვენ ბურების წინაამდეგ მომზადებულნი ვართ, თუ კიდევ მათ გაბედეს და თავს დაგვესხნენო“.

ნიუ-იორკი. „რეიტ. სააგენტო“. სამხედრო მინისტრად ყოფილმა ოლდჟერმა განუცხადა ერთს ჟურნალისტს, რომ მე არ მომწონს სამხრეთ-აფრიკის საქმეებში ამერიკის შესანიშნავ მოღვაწეთა ჩარევაო. შემდეგ დიდის მადლობით მოიხსენია ძვირფასი მეგობრობა, რომელიც გამოიჩინა ინგლისმა ამერიკისა და ისპანიის ომის დროს და უსაყვედურა ბრაიანს, რომ მას თავისს პოლიტიკური ინტერესებისა გამო უნდა ამერიკელებს ინგლისელნი შეაძულოს.

შეერთებულ შტატების სხვა-და-სხვა ქალაქებში მიტინგები გამართეს გუშინ ინგლისის პოლიტიკის წინააღმდეგ.

ნიუ-იორკის სამუსიკო აკადემიაში ქ-ნმა მოუდ-გონნმა სიტყვა წარმოსთქვა აუარებელის ხალხის წინაშე, რომელიც უმთავრესად ირლანდიელებისაგან შესდგებოდა. გონნმა საშინლად გაჰკიცხა ინგლისის პოლიტიკა და განაცხადა, რომ ირლანდიელებს ბორკილისაგან განთავისუფლების დღე დაუდგათო.

ბალტიმორში, სადაც ყრილობა მოხდა ბურებისათვის თანაგრძნობის გამოსაცხადებლად, სიტყვები კონგრესის წევრებმა და სხვა წარჩინებულთ წარმოსთქვეს.

სოფია. საერო კრება დასრულდა დღეს.

ლონდონი. სამხედრო სამინისტროს არავითარი ამბავი არ მიუღია ბულლერის ჯარის ტუგელზედ გადასვლის და ლედი სმიტისკენ წასვლის შესახებ. პირიქით, ეს სიჩუმე უფრო იმასა ნიშნავს, რომ ჯარი ჯერ გზას არ გასდგომია. რაც შეეხება იმას, რომ ბულლერის ჯარის ზარბაზნების ხმა ისმოდა ლედი-სმიტში, ჰფიქრობენ, რომ ეს ახალ ზარბაზნებს ისროდნენ საცდელადაო.

წერილი რედაქციის მიმართ

ბაღდათის წიგნთ საცავ-სამკითხველოს შემოსწირეს ქ-ნმა რახაილ აბაშიძისამ 3 მ., სოფიო კახიანმა, მარიამ გრიგორიასამ, ლიზა ჩარკვიანმა, ფოკა მხეიძემ და ირაკლი ტყეშელაშვილმა თითო მანეთი; ალექსანდრა ქორჟოლიანმა და ალექსანდრა ახვლედიანმა ექვს-ექვსი შაური და ოლღა გალაშევსკისამ ერთი აბაზი. ეს ფული შეკრებილ იქმნა ს. როკიდში ქ-ნ სოფიო კახიანის მეცადინეობით და გადმოეცა სამკითხველოს გიორგი ახვლედიანის ხელით. გულითადს მადლობას ვუძღვნით როგორც ქ-ნ სოფიო კახიანს, ისე იმათაც, რომლებმაც კეთილ ინებეს და არ დაიშურეს თავისი წვლილი ჩვენის ღარიბ სამკითხველოსათვის.

აგრეთვე უღრმესს მადლობას ვუძღვნი როგორც ჩემის მხრივ, ისე ბაღდათის სამკითხველოს დამაარსებელთა მხრივაც ყარამან ბესარიონის ძე დათეშიძეს, რომელმაც მომავალის 1900 წლისათვის აღგვითქვა უფასოდ გვაწოდოს ხოლმე ქუთაისიდგან ყოველ დღე თავისის მედილიჟნეს ხელით ყველა ჟურნალ-გაზეთი, დაკვეთილი სამკითხველოსათვის.

მასწავლებელი ივ. მემარნიშვილი

სასამართლოს ცნობები

ტფილისის სამოსამართლო პალატაში შემდეგი საქმეებია განსახილველად დანიშნული:

მესამე სამოქალაქო დეპარტამენტში

27 იანვარი.

(ქუთაისის ოლქის სასამართლოდგან გადმოტანილნი სააპელაციო საჩივარნი)

რობერტ რიხნერის ვექილისა ნიკო გვგანავას წინაამდეგ მამულისა და შენობის დაქცევის შესახებ დაწყებულ დავის გამო.

რობერტ რიხნერისა დავით ნოდიასთან მამულის დავის გამო.

პირველი სისხლის სამართლის დეპარტამენტში.

29 იანვარი.

კირილე გიგინეიშვილისა, რომელსაც შტაბს-კაპიტანის თ. ვ. მელიქოვის მოკვლა ჰბრალდება. (საქმე გადატანილია ბრალმდებელის მიერ).

ქ. დუშეთის პოლიციელებად ნამყოფ გიორგი ბასილაშვილისა, მიხეილ პეტრიაშვილისა და როსტომ ჩიტაურისა, რომელთაც სასჯელთა დებულების მე-348 მუხ. მეორე ნაწილსა და მე-347 მუხ. 1 ნაწ. აღნიშნული ბრალი ედებათ.

ნიკოლოზ სრესულისა, რომელსაც კაცის მოკვლის განზრახვა ედება ბრალად.

ვიკენტი ლევაშოვისა, რომელიც ტფილისის მომრიგებელ-სასამართლოს მეოთხე ნაწილიდგან მოსამართლის ზუბალაშვილის პიჯაკის მოპარვა ედება ბრალად.

დავით ხანჩაგაშვილისა, რომელსაც ქურდობა და მძარცველობა ედება ბრალად.

იოსებ ჯანელიძისა, ილია ფარსადანოვისა, ელიაზარ ვაილკოვისა და ევგენი პაპოვისა, რომელთაც სხვათა მოტყუება და ცთუნება ჰბრალდებათ.

5 თებერვალი.

ვერა პოლონსკაიასი და ნიკოლოზ გვარამაძისა, რომელთაც მევახშეობა ჰბრალდებათ.

ვლადიმირ მარდ-ნოვისა, რომელსაც მევახშეობა ჰბრალდება (სენატის მიერ ხელახლად განსახილველად დაბრუნებული საქმე.)

15 თებერვალი.

მღვდლის გიორგი აბრიაშვილისა, იაკობ ქიტიაშვილისა, წყალობ ფიდგაურისა და ივანე კოკაშვილისა, რომელთაც სასჯელთა დებულების მე-115,1668 და 131 მუხ. აღნიშნული ბრალი ედებათ.

განცხადებანი

ПРЕЙСЪ-КУРАНТЫ БЕЗПЛАТНО
КВЕЕСА
ИСПЫТАННЫЯ
СѢМЕНА
КАВКАЗСК. СѢМ. ХОЗЯЙСТВО
К. П. КВЕЕСЪ
ТИФЛИСЪ

(50—267—1)

ტფილისის საბაღოსნო სკოლა

კისრულობს ხეხილისა და სადეკორაციო ხეების ბაღების მგეგმ, შედგენასა და გაშენებას, ადგილობრივ და სხვა მემამულეთათვის ხეხილისა და სადეკორაციო ხეების მიწოდებას და საბაღე და სხვა მცენარეთა თესლეულობის გაგზავნას.

(12—ნ.—12)

ტფილისის ქალაქის გამგეობა აცხადებს, რომ ამა 1900 წლის 1 თებერვალს, შუადღის 12 საათზედ, გამგეობის თანადასწრებით, დანიშნულია

საჯარო ვაჭრობა,

რომელზედაც იჯარით გაცემული იქმნება ხუთი ნაჭერი ქალაქის მიწისა. ეს მიწები მდებარეობს მე-10 ნაწილში „ლოტკის-გორაზედ“. პირობები მსურველთ შეუძლიანთ განიხილონ გამგეობის მე-4 განყოფილებაში ყოველ დღე 9-დგან 2 საათამდე.

(3—ნ.—2)

ტფილისის ქალაქის გამგეობა აცხადებს, რომ ამა 1900 წლის 3 თებერვალს, შუადღის 12 საათზედ, გამგეობის თანადასწრებით, დანიშნულია

საჯარო ვაჭრობა,

რომელზედაც იჯარით გაცემული იქმნება ქალაქის მიწის ნაჭერი. ეს მიწა მდებარეობს მე-7 ნაწილში, მახათის გორის და მარტყოფის გზის შუა; ზომით 237 დესეტინა. ამ ადგილში გაჯია. მსურველთ პირობები გამგეობის მე-4 განყოფილებაში შეუძლიანთ გასინჯონ ყოველდღე 9-დგან 2 საათამდე. (3—ნ.—2)

დაიბეჭდა და ისყიდება

სამი პოემა

ანტონ ფურცელაძისა

ფასი 50 კაპ.

ტფილისს: წერა-კითხვის მაღაზიაში, წიგნების გამომცემელ ამხანაგობის მაღაზიაში და იმედაშვილთან.

ქუთაისს: ვ. ბექანეიშვილთან, წერეთელთან და ხეთერელთან.

ფოთს: მ. გაჩეჩილაძესთან.

ბათუმს: თავართქილაძესთან და ჰელიძესთან.

გორს: არსენ კალანდაძეს მაღაზიაში.

განჯას: სოლომონ ლოლიძესთან.

ბორჯომს: ვლადიმერ ყიფიანთან.

ფოთს: ვ. ტულუშთან.

სენაკს: თავართქილაძესთან.

ოზურგეთს: თავართქილაძესთან.

პეტერბ. სამკურნალო გამგეობის ნება რთვით. დიდი კოლოფი ღირს 5 მან., პატარა კოლ. —3 მან. და 1 მ. 50 კაპ.



ახალი საშუალება

თმის გასაზრდელად და გასამაგრებლად, რომელიც აგრეთვე ქერტლსაც აქრობს. შემდეგ, გამოვიდა კიდევ ახალი საშუალება

„კვერცხის რძე“

სახის გასანაზებლად და გასათეთრებლად. „კვერცხის რძე“ არჩენს მზისაგან ლამწვარს კანს, სპობს მუწუკებს, არბილებს კანს. **ფასი ყველასათვის ხელმისაწვდომია:** დიდი ქილა —2 მან; პატარა—1 მან. 50 კაპ. იყიდება ყველა საპარფიუმერო და სააფთიაქო მაღაზიაში. მთავარი საწყობი არის პეტერბურგში, პუშკინის ქუჩაზედ №15, სადგ. 12. საწყობს განყოფილებანი აქვს ტფილისში—ერივნის მოედ. სააფთიაქო საქონლის სავაჭრო ამხანაგობაში და ბაქოში, იყიდება აგრეთვე ხადზედ პოპოვისა და არისტაკოვის სააფთიაქო მაღაზიაში.

ქალაქ გარეთ მცხოვრებთ დაუყოვნებლივ პოსტით გაეგზავნებათ. (100—150—71)

Дозволено цензурою, Тифлисъ 25 Января 1900 г.
სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა
რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე